

ღანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველო”

2800 ღანჩუთი, კოსტავას 37 595336065

N 607

29/11/2016

ღანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარეს ბატონ გიორგი ხელაძეს

ბატონო გიორგი,


გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის 25 ნოემბერს მოწვეულ იქნა ღანჩუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ სხდომა.

დანართი: სხდომის ოქმი №9– 8(რვა) ფურცელი

პატივისცემით,

კახა ურუშაძე

ფრაქციის თავმჯდომარე



ფრაქცია "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“
სხდომის ოქმი№9

ქ.ლანჩხუთი

25. 11.2016 წელი

სხდომას ესწრებოდა: ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე კახა ურუშაძე.

ფრაქციის წევრები:

ია ჩხაიძე, გურამ კერესელიძე, ალექსანდრე სარიშვილი, ბესიკ ტაბიძე, თეიმურაზ მარშანიშვილი, ელენე ნაჭყებია, გიორგი ხელაძე.

მოწვეული პირები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელი ზაზა ურუშაძე, გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსი გიორგი ფაცურია, საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია.

ფრაქციის თავმჯდომარე კახა ურუშაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი კახა ურუშაძე/

2. „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლისათვის სამშობლოს დაცვისათვის დადუპული გიორგი ლომაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი კახა ურუშაძე/

3.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების დამტკიცების თაობაზე.

/მომხსენებელი კახა ურუშაძე/

4.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ.

/მომხსენებელი კახა ურუშაძე/

5..სხვადასხვა

ფრაქციის თავმჯდომარე კახა ურუშაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველ საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ქუჩების, მოედნების, შესახვევების, ჩიხების, მრავალბინიანი სახლების სადარბაზოების, ბინების და კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების ნუმერაციის წესის დამტკიცების შესახებ“ შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 29 მაისის №23 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარე კახა ურუშაძემ. მან აღნიშნა, რომ საჯარო რეესტრის შესახებ საქართველოს კანონში შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც მთელი ქვეყნის მასშტაბით ნუმერაციის პროცესი ერთიან სამართლებრივ ჭრილში მოექცა. იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ადგილობრივი თვითმმართველობების ნაცვლად, განახორციელებს გეოგრაფიული ობიექტებისთვის სამისამართო ნუმერაციის მინიჭებას, ამიტომ საჭიროა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ მიღებულ დადგენილებაში ცვლილებების განხორციელება.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

დადგენილების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარემ კახა ურუშაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს:

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხზე „სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლისათვის სამშობლოს დაცვისათვის დაღუპული გიორგი ლომაძის სახელის მინიჭებაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო ფრაქციის თავმჯდომარე კახა ურუშაძემ. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 08 ნოემბერს MES81601338601 წერილით მომართა ქალაქ ლანჩხუთის საგანმანათლებლო რესურსცენტრმა, რომლის თანახმადაც სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ლესის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭომ განიხილა და მიიღო წინადადება ლესის საჯარო სკოლისათვის 2004 წლის აგვისტოში ქართულ-ოსური კონფლიქტის დროს დაღუპული გიორგი ლომაძის სახელის მინიჭებაზე.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარე კახა ურუშაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 7, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მესამე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 15 აგვისტოს N23 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ“, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო გამგეობის ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურის უფროსმა, **გიორგი ფაცურამ**. მან აღნიშნა, რომ ცვლილება განპირობებულია „სახელმწიფო პროექტის ფარგლებში მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის სპეციალური წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონიდან გამომდინარე ქონების მართვის, ეკონომიკისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სამსახურისათვის ფუნქციების დამატებით, რაც გულისხმობს თანამშრომლების მიერ დამატებითი სამუშაოს შესრულებას. აღნიშნული საპილოტე პროგრამა ითვალისწინებს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოსა და მუნიციპალიტეტების გამგეობებს შორის ძირეულ თანამშრომლობას. კერძოდ, სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში წარდგენილ მიწის საკადასტრო აგეგმვით/აზომვით ნახაზზე წამოდგენილ ნაკვეთისა და ფაქტიურ ნაკვეთს შორის იდენტურობის დადგენასა და მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისათვის საჭირო სპეციალური ოქმების მიწოდებას, რაც საკმაოდ შრომატევადი და საპასუხისმგებლო სამუშაოა, მოიცავს უძრავი ნივთის ადგილზე დათვალიერებასა და მიწის ნაკვეთების რეგისტრაციისათვის საჭირო სპეციალური ოქმების შევსებას. აქედან გამომდინარე, საჭიროა აღნიშნული სამსახურის ქონების მართვის განყოფილებაში „წამყვანი სპეციალისტი“ შეიცვალოს „მთავარი სპეციალისტით“ და განყოფილების მთავარი სპეციალისტის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვროს 2 (ორი) ერთულით.

ფრაქციამ მიიღო გადაწყვეტილება:

განკარგულების პროექტი ფრაქციის წევრების მიერ მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

ფრაქციის თავმჯდომარე კახა ურუშაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე 7 , წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი სხდომას გააცნო **საფინანსო-საბიუჯეტო და მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის უფროსმა როლანდ ლაშხიამ**. მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტი წარმოდგენილია საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად, რომელიც მთლიანობაში აერთიანებს შემდეგ ქვეკატეგორიებს: შემოსავლების კლასიფიკაციას, ხარჯების ეკონომიკურ კლასიფიკაციას, ხარჯებისა და არაფინანსური აქტივებით ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციას, არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციას. ასევე ბიუჯეტი შედგენილია ორგანიზაციული კლასიფიკაციის მიხედვით, რაც ითვალისწინებს მხარჯავი დაწესებულებებისა და მათში შემავალი პროგრამების სტრუქტურას.

ამასთან, ბიუჯეტის პროექტით გათვალისწინებული პროგრამების ფორმატი წარმოდგენილია პროგრამის მოსალოდნელი შედეგის და შეფასების კრიტერიუმების მიხედვით, რაც განაპირობებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შედეგზე ორიენტირებულობას.

გარდა ამისა, ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილია 2017-2020 წლების საპროგნოზო მაჩვენებლები.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა - 8414.0 ათ. ლარის ოდენობით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის ხარჯები პროექტით განსაზღვრულია - 8209.0 ათ. ლარი, წარმოდგენილი პროექტით არაფინანსური აქტივების ცვლილება შეადგენს - 460.0 ათ. ლარს, ვალდებულების კლება განსაზღვრულია - 205,0 ათ. ლარი

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიის დაგვა-დასუფთავებასა და ნარჩენების გატანაზე, მუნიციპალიტეტში არსებული სკვერების მოვლასა და გამწვანების სამუშაოების ჩატარებაზე, სასაფლაოების მოვლა პატრონობაზე, მუნიციპალიტეტის ტერიტორიის მაწანწალა ძაღლებისგან გასუფთავებაზე მიიმართება - 550,0 ათ. ლარი.

- გარე განათების გახარჯული ელექტროენერჯის ანაზღაურებაზე მიიმართება - 200,0 ათ. ლარი, ამასთან გარე განათების მოვლა პატრონობის ხარჯზე მიიმართება - 400,0 ათ. ათასი ლარი.

- საგარეო-ეკონომიკური კავშირურთიერთობების, ინვესტიციების, ტრანსპორტის, ტურიზმისა და მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობისათვის მიიმართება - 154,0 ათ. ლარი.

ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები პროექტით გათვალისწინებულია - 130,0 ათ. ლარი, აღნიშნული თანხა გაიცემა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჯანდაცვის ცენტრის მომსახურებისათვის, რომელიც ფინანსდება დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერით.

სოციალური დაცვის პროგრამებისათვის გათვალისწინებულია - 415,8 ათ. ლარი.

განათლების პროგრამები - დაგეგმილია - 1950,0 ათ. ლარით.

პროგრამის ფარგლებში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტი აფინანსებს საბავშვო ბაღების ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს, მათ შორის მასწავლებელთა და აღმზრდელთა ხელფასებს, ბავშვთა კვებას და ბაღების სხვა მიმდინარე ხარჯებს.

კულტურის პროგრამები წარმოდგენილია - 1023,0 ათ. ლარის ოდენობით, რომელიც მიმართული იქნება შემდეგზე: კულტურის ცენტრის, ბიბლიოთეკების, მუზეუმების, სახელოვნებო სკოლების და სოც. კულტურული ღონისძიებებზე.

სპორტული პროგრამებისათვის გათვალისწინებულია - 670,0 ათ. ლარი, რომელიც მიმართული იქნება: საფეხბურთო კლუბი გურიას, სპორტული ცენტრის, საფეხბურთო სკოლის დაფინანსებაზე.

2016 წლის ბიუჯეტში სარეზერვო ფონდი განისაზღვრა - 35,0 ათ. ლარით, ბიუჯეტის ეკონომიკური კლასიფიკაციის შესაბამისად:

სარეზერვო ფონდის გამოყენება განისაზღვრება მხოლოდ იმ განსაკუთრებული შემთხვევებისათვის რომლებიც ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული.

საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე სარიშვილმა აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შედეგად გამოითქვა სხვადასხვა სახის სერიოზული შენიშვნები და წინადადებები, მისი თქმით:

- წარმოდგენილ პროექტს არ ერთვის „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13-ე მუხლის მე-3-ე პუნქტის შესაბამისად შედგენილი ადგილობრივი ბიუჯეტის ყველა შემოსულობების საპროგნოზო მაჩვენებლების დასადგენად მომზადებული დასაბუთებული გაანგარიშებები, კერძოდ, ბიუჯეტის პროექტს შემოსავლით ნაწილში არ ახლავს იმ საპრივატიზაციო ობიექტების ჩამონათვალი, რომლის საფუძველზეც უნდა მოხდეს არაფინანსური აქტივების ზრდა. ასევე შემოსავლით ნაწილში არ არის დაფიქსირებული, თუ რომელი ობიექტებიდან ველოდებით მოსაკრებელს ბუნებრივი რესურსების სარგებლობისთვის.
- ბიუჯეტის პროექტს მართალია თან ერთვის ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი მხარჯავი დაწესებულებების მიერ წარმოდგენილი საბიუჯეტო განაცხადები, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ არ მომხდარა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის განხილვა მათ მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის პროექტების, რაც ნათლად ჩანს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში.
- ბიუჯეტის პროექტში კვლავ არ არის გათვალისწინებული შენობების ტექნიკური პასპორტებისა და მიწის საკადასტრო ნახაზების დამზადების და საინფორმაციო საშუალებების გამოქვეყნების ხარჯების მუხლი, რომლის შედეგადაც მოხდება არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებისა და შენობა-ნაგებობების დარეგისტრირება და განკარგვა, რომელიც შემდგომში გამოიწვევს ბიუჯეტის ზრდას.
- ბიუჯეტის პროექტში არ არის გათვალისწინებული ქუჩების ნუმერაციისთვის ტრაფარეტების დამზადების თანხა.
- ბიუჯეტის პროექტში ასახულია 200 000 ლარი წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად და სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების ფინანსურად უზრუნველსაყოფად, მაგრამ მუხლში არ არის მითითებული კონკრეტულად რომელ ვალდებულებებზე და სასამართლო გადაწყვეტილებებზეა საუბარი.
- ბიუჯეტის პროექტში გამგეობისა და საკრებულოს შრომითი ანაზღაურების გაანგარიშება მოხდეს 15 თვეზე.
- ბიუჯეტის პროექტში კვლავ არ არის გათვალისწინებული განადგურების პირას მყოფი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების შენარჩუნებისათვის საჭირო თანხები.
- ბიუჯეტის პროექტში არ არის გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების თანადაფინანსების თანხა.
- ბიუჯეტის პროექტში კვლავ არ არის გათვალისწინებული 2015 წელს მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ ინიცირებული პროექტი, რომელიც ეხება სამება-ჯიხეთის დედათა მონასტრის სამონასტრო კომპლექსის ინფრასტრუქტურის მოწყობას.
- ბიუჯეტის პროექტში გაიზარდოს სარეზერვო ფონდი სტიქიის შედეგად გადაუდებელი სამუშაოების დროულად ჩატარების მიზნით.
- მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ წარმოდგენილ ბიუჯეტის პროექტში ა(ა)იპ-ებისათვის განსაზღვრული თანხები არ არის საკმარისი მათი სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის. ამასთანავე აუცილებელია გადაიხედოს ა(ა)იპ-ების საშტატო განრიგი და მოხდეს რანგირების მიხედვით ხელფასების მოწესრიგება.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ზაზა ურუშაძემ აღნიშნა, რომ ბიუჯეტის პროექტში წარმოდგენილ ა(ა)იპ-ების ბიუჯეტებზე თანხის დამატება ვერ მოხდება. მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტები არის ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების მაქსიმუმი, თანხა მხოლოდ დაემატება ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ლანჩხუთი სერვისს“, რომელსაც მიმდინარე წელს დაემატება კიდევ ერთი მანქანა და მნიშვნელოვანია ეს სამსახური გამართულად და ხარისხიანად მუშაობდეს. ასევე მან განმარტა, რომ როგორც პრემიერ-მინისტრმა განაცხადა მომავალი წელი უნდა იყოს

გზების რეაბილიტაციის, წყლის პრობლემის მოგვარების წელი, აქედან გამომდინარე ადგილობრივი ბიუჯეტის პრიორიტეტები ამის მიხედვით უნდა დაიგეგმოს.

ასევე გამგებელმა ზაზა ურუშაძემ განმარტა, რომ 2017 წლის ბიუჯეტში გათვალისწინებული იქნება სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ინიციატივა რომელიც გულუსხმობს ა(ა)იპ „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის გაერთიანებაში“ არსებული სამუსიკო სკოლების მოსწავლეების სწავლის საფასურის შეღავათების დაწესებას, კერძოდ, სწავლის საფასურიდან გათავისუფლდეს სოციალურად დაუცველი ოჯახები, ასევე მოხდეს იმ ოჯახებისთვის შეღავათის დაწესება, რომლიდანაც სწავლობს ორი ან მეტი ბავშვი.

სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე ია ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ლანჩხუთის ა(ა)იპ-ების მიერ ვალდებულების შესასრულებლად წარმოდგენილი ბიუჯეტი, არ არის გათვალისწინებული ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2017 წლის ბიუჯეტის პროექტში.

1. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის გოგნათა ექსპერიმენტალური სარაგბო-საფეხბურთო სკოლაში წარმატებული გოგონები არიან, რომლებიც ეროვნულ ჩემპიონატში იღებენ მონაწილეობას. აუცილებელია მათთვის ნიგოითის სტადიონის კეთილმოწყობა, საშხაპეების ჩათვლით და სათანადო პირობების შექმნა.

2. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბავშვთა საფეხბურთო სკოლა- ვინაიდან პრიორიტეტია ბავშვთა ფეხბურთის განვითარება აღსაზრდელებისათვის სათანადო გარემოს შექმნის მიზნით, გათვალისწინებული იქნეს თანხები შენობის სახურავის გამოსაცვლელად და ჩიბათის სათადარიგო სტადიონის მოსაწყობად.

3. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრს გადაუდებლად ესჭიროება პარაზიტოლოგიურ ლაბორატორიაში წყლის შეყვანა და სველი წერტილების მოწესრიგება, რისთვისაც ფინანსების დამატებას საჭიროებს.

4. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების მიერ წარმოდგენილი მოთხოვნა მაქსიმალურად იქნეს დაკმაყოფილებული, რადგანაც გადაუდებლად ესაჭიროება კულტურის სახლს რემონტი; აუცილებელია სასცენო მოწყობილობის და აღჭურვილობის განახლება; ცენტრალურ ბიბლიოთეკაში აუცილებელი ინვენტარის შეძენა (სკამები, კარადები), სატრანსპორტო საშუალების შეძენა, მუსიკალურ სკოლაში შეღავათების განხორციელება, თეატრალური დასის ბიუჯეტის გაზრდა; ნინოშვილის მუზეუმისთვის საექსპოზიციო შენობის რეაბილიტაცია; მუშის შტატის დამატება; ვ. წულაძის მუზეუმისთვის საგამოფენო ვიტრინები; მუზეუმებში სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაფინანსება; ანსამბლებისთვის ფორმების შეძენა; მუზეუმებში წიგნადი ფონდების განახლება.

5. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სპორტულ ცენტრს ესაჭიროება ფალავანთა სკოლის რემონტი და რაგბისთვის სოფელ ჭალის სტადიონის რეაბილიტაცია; ჭადრაკის სკოლისთვის შენობის დაქირავება.

6. ა(ა)იპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი საგანმანათლებლო-სააღმზრდელო ცენტრში
- პრიორიტეტულია N1 საბავშვო ბაღისათვის დამატებით ორი ჯგუფის და დარბაზის მიშენება. შენობა

გათვლილი არის 120 ბავშვზე და ირიცხება 180. ახალი სასწავლო წლიდან ლაშისდელის ბაღის ლიკვიდაციის შემდეგ კონტინგენტი მოიმატებს; ბაღებში აუცილებელია დაემატოს დარაჯის შტატი; ტექნიკურ პერსონალს (დამლაგებელი) გაეზარდოს ანაზღაურება.

7. ა(ა)იპ.ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის უფასო სასაბავშვო მზრუნველობა მოკლებულიათვის მიერ მოთხოვნილ- ბიუჯეტში გათვლილია იმ ბენეფიციართა მომსახურება, რომლებსაც სხვადასხვა ადმინისტრაციულ ერთეულებში მიეწოდებათ საკვები, თუ არ მოხდება თანხის დამატება, ისინი ვერ დაკმაყოფილდებიან.

სოციალური პროგრამები გაიზარდა 13 000 ლარით, თუმცა კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია ერთეულოვანი დახმარების პროგრამა, რომელიც სხვადასხვა საჭიროების მიხედვით მიეწოდება მოსახლეობას, კიდევ უფრო გაფართოვდეს და განისაზღვროს რა კონკრეტული საჭიროების მიხედვით მოხდება ბენეფიციართა დახმარება.

დღის ცენტრ „იენანას“ აღსაზრდელების საზოგადოებაში ინტეგრაციის, თვითმყოფადობის ამაღლებისა და თვითრეალიზების უნარების განვითარების მიზნით, ცენტრში უნდა განხორციელდეს საბავშვო სპექტაკლების მინი-პროექტები. რისთვისაც ესაჭიროებათ ფინანსური მხარდაჭერა (1 200 ლარი).

სოც. კულტურული ღონისძიებების თანხა შემცირებულია, 11 000 ლარით. რაც ხელს შეუშლის ამ სფეროს წარმატებულ საქმიანობას.

რელიგიის დაფინანსების შემცირება მოხდა 5 000 ლარით. მიზანშეწონილია ამ თანხის გაზრდა.

ფრაქციის თავმჯდომარე კახა ურუშაძემ აღნიშნა, რომ ის ეთანხმება ფრაქციის წევრების მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს ბიუჯეტის პროექტთან დაკავშირებით. ასევე განმარტა რომ ის უახლოეს მომავალში წარმოადგენს პროექტს სადაც გაწერილი იქნება ა(ა)იპ-ების თანამშრომელთა საშტატო განრიგი, თანამდებობრივი სარგო და თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობა. მისი თქმით ეს ხელს შეუწყობს ა(ა)იპ-ებში შტატების ოპტიმიზაციას და დაზოგილი თანხით სხვა უფრო პრიორიტეტულ საკითხის მოგვარებას შეძლებს ადგილობრივი თვითმართველობა.

ფრაქციის წევრებმა ერთხმად მხარი დაუჭირეს ყველა იმ შენიშვნას, რომელიც დაისვა ფრაქციის სხდომაზე და რომლის გათვალისწინება უნდა მოხდეს მაქსიმალურად 2017 წლის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დოკუმენტში.

ამით ფრაქციის სხდომამ მუშაობა დაასრულა
ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ფრაქცია „ქართული-ოცნება დემოკრატიული
საქართველოს“ თავმჯდომარე

3

კახა ურუშაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25 ნოემბერი 2016 წელი
14.00 საათი

№	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	კახა ურუშაძე	13.50	კ. ურუშაძე
2	ზესიკ ტაბიძე	13.45	ზ. ტაბიძე
3	ალექსანდრე სარიშვილი	13.50	ა. სარიშვილი
4	გიორგი ხელაძე	13.50	გიორგი ხელაძე
5	დავით ჩხარტიშვილი		
6	ია ჩხაიძე	13.50	ია ჩხაიძე
7	თეიმურაზ მარშანიშვილი	13.50	თ. მარშანიშვილი
8	ელენე ნაჭყებია	13.55	ე. ნაჭყებია
9	თეიმურაზ ალექსაია	/	-
10	გურამ კერესელიძე	13.50	გ. კერესელიძე